

ეკა ჭყოიძე
ასოცირებული პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

შუა საუკუნეების ბერძნული საისტორიო მწერლობა და საქართველო

თეზისები: საისტორიო მწერლობა ბერძნული ლიტერატურის სწორედ ის დარგია, რომელმაც შუა საუკუნეებშიც განაგრძო განვითარება. ამ პერიოდის საისტორიო მწერლობა ნამდვილად არის მრავალფეროვანი და ძალიან ბევრი საყურადღებო ინფორმაციის შემცველი არა მხოლოდ საკუთრივ ბერძნულ შუა საუკუნეობრივ სივრცეზე (ანუ ბიზანტიის იმპერიაზე), არამედ მის მეზობლებზეც. ამ პერიოდის საქართველოში აქცენტი ძირითადად სასულიერო მწერლობის ნიმუშების თარგმანზე გაკეთდა და საისტორიო მწერლობა ამ მხრივ შედარებით „დაიჩაგრა“.

XX საუკუნეში სიმონ ყაუხჩიშვილმა შეკრიბა და თარგმნა ბიზანტიური მწერლობიდან ის მონაკვეთები, რომლებიც საქართველოზე გვაწვდიდნენ ინფორმაციას და რამდენიმე ტომად გამოსცა (სერია „გეორგია“). ამით მან დიდი დახმარება გაუწია ქართულ ისტორიოგრაფიას და იმ პერიოდისთვის ეს მართლაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო. იმის გათვალისწინებით, რომ აქ თავმოყრილია მხოლოდ საქართველოზე არსებული ინფორმაცია, ეს კრებული მკითხველს ვერანაირ შთაბეჭდილებას ვერ უქმნის შუა საუკუნეების ბერძენ ისტორიკოსებზე.

ეჭვგარეშეა, რომ თანამედროვე ქართველ მკვლევარსა და მკითხველს ესაჭიროება ზოგიერთი თხზულების მთლიანად თარგმნა. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მიქაელ ფსელოსის „ქრონოგრაფია“ (XI ს.) და ანა კომნენას „ალექსიადა“ (XII ს.). მათგან პირველი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაა ზოგადად ბერძნულ სამყაროში. მას საქართველოში საკმაოდ კარგად იცნობენ როგორც მოაზროვნესა და ფილოსოფოსს. ფსელოსის, როგორც ისტორიკოსის წარმოჩენა

ბევრს შესძენდა ქართულ ჰუმანიტარულ კვლევებს. ამასთანავე, პერიოდი, რომელსაც ის აღწერს (976-1077 წწ.), ყველაზე აქტიურია ბიზანტიურ-ქართულ პოლიტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით.

ანა კომნენა თავისთავად გამორჩეული ფიგურაა, რადგან შუა საუკუნეებში ქალი მწერლების რიცხვი ერთობ მწირია. მან თავის მამას, იმპერატორ ალექსი პირველ კომნენოსს¹ (1081-1118) უძღვნა ვრცელი ნაშრომი „ალექსიადა“. ამ მხრივაც განსაკუთრებულია, რადგან მმართველის ბიოგრაფია მისი ასულის მიერ აღწერილი, თავისთავად იშვიათი მოვლენაა. შესაბამისად, ანას ნაშრომი ბევრ ემოციურ და გულისამაჩუყებელ პასაჟს შეიცავს, რაც მას ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდ მხატვრულ ღირებულებასაც ანიჭებს.

საკვანძო სიტყვები: შუა საუკუნეების ბერძნული ისტორიოგრაფია, მიქაელ ფსელოსი, ანა კომნენა

Abstract: Historiography is one of the literary genres which was developed in the medieval period. Moreover, historical compositions of that period written in Greek are impressive in terms of both quality and quantity. They contain a plenty of important information not only for medieval Greek space (which is the Byzantine empire) but for its neighbors as well. In medieval Georgia a priority was given to ecclesiastical compositions. Thus, we have a few medieval translations of historical works from Greek into Georgian.

In the 20th c. a well-known Georgian scholar S. Kaukhchishvili gathered and translated all extracts from medieval Greek historical works referring to Georgia. He publishes these translations in the series named “Georgica” and it was a great help to Georgian historians. Some extracts related to Georgia and no other information are unable to make proper impression and to have a full picture about Byzantine historiography. Without a doubt, Georgian scholars and readers need some works fully translated into Georgian. In this context, we would single out “Chronographia” by

1. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერძნულში, როგორც ქველში, ასევე თანამედროვეში, ძლიერია გრამატიკული სქესი, რაც ვლინდება გვარებშიც. რადგან მომხრე ვართ ეს ქართულშიც აისახოს (მიუხედავად გრამატიკული სქესის უქონლობისა), ამ კონკრეტულ შემთხვევაში მამაკაცი იქნება კომნენოსი, ხოლო ქალი კომნენა (ასევე, დასაშვებია ქალის შემთხვევაში, კომნენაც).

Michael Psellos (11th c.) and “Alexias” by Anna Comnena (12th c.). Psellos as a philosopher is well-investigated in Georgia. Though, his presentation as a historian would be very helpful for Georgian humanitarian studies. Moreover, the period covered by Psellos (976-1077), is the most active in Byzantine-Georgian relationships. Consequently, any source of that period is necessary for better understanding of those processes.

Anna Comnena, the most important medieval woman-historian, dedicated a bulky composition “Alexias” to her father, the Byzantine emperor Alexios I Comnenos (1081-1118). Besides its historical merits, this work contains many emotional and touching passages. “Alexias” would be very important to both Georgian scholars and ordinary readers as well.

Keywords: Medieval Greek historiography, Michael Psellos, Anna Comnena

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის შემდეგ, ანუ ქრისტიანობის გავრცელებიდან მოყოლებული, ბერძნულენოვანი ისტორიოგრაფიის განვითარება დიდწილად დაუკავშირდა ქრისტიანულ მოძღვრებას. შესაბამისად, ქრისტიანული ქრონოგრაფია ჩამოყალიბდა მალევე, II-III საუკუნეებში (Καρόλιος, *Βυζαντινοί Ιστορικοί*, Α' 30). ქრისტიანობის აპოლოგეტების მთავარი მიზანი სახარებისეული გზავნილების გავრცელება იყო. ამ ჭრილში კლასიკური ბერძნული განათლება მიჩნეულ იქნა იარაღად, რომელსაც ახალი, ქრისტიანული სარწმუნოება გამოიყენებდა თავისი მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, სასულიერო მწერლობის განვითარებასთან მიმართებაში ანტიკური ტრადიციების სრული უგულვებელყოფა არ მომხდარა. პირიქით, ქრისტიანობა ანტიკურობის გაგრძელების ერთგვარი ფორმა იყო. იგივეს ვერ ვიტყვით ისტორიაზე, როგორც მწერლობის დარგზე. ძველი ბერძნული ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოს, ენობრივ ინვენტარსა და სტილს არაფერი ჰქონდა საერთო ქრისტიანულ მოძღვრებასთან. ანტიკურ საბერძნეთში ისტორიკოსი აღწერდა ძირითადად ომებს და ძლიერთა ამა ქვეყნისათა ბიოგრაფიებს. შესაბამისად, ეს მოცემულობა ქრისტიანულ რეალობას ვერ გამოადგებოდა. ამიტომ საჭირო იყო განსხვავებული საფუძვლის შექმნა, სადაც ახალი რელიგია შეძლებდა ისტორიის ახლებური კონცეფციის დაფუძნებას (259-260). ასე შეიქმნა საეკლესიო ისტორია, როგორც მწერლობის დარგი. IV საუკუნის ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, ევსევი კესარიელმა თავის *საეკლესიო ისტორიაში* აღწერა მოვლენები მოციქულთა პერიოდთან კონსტანტინე

დიდის ერთპიროვნული მმართველობის დასაწყისამდე (324 წელი). ეს თხზულება წარმოადგენს ქრისტიანობის ადრეული პერიოდის ისტორიის მთავარ წყაროს (*Bυζαντινοί Ιστορικοί*, A' 57). ევსევიმ კონსტანტინე დიდის ცხოვრება და მოღვაწეობა ისტორიის ფორმით კი არ გადმოგვცა, არამედ შექმნა ახალი, პანეგირიკული ბიოგრაფია (260). მომდევნო პერიოდში, როცა ეკლესიამ პრაქტიკულადაც და იდეოლოგიურადაც გაიმყარა თავისი პოზიციები, კლასიკოსი მწერლების მიბაძვა უკვე აღარ იყო საფრთხის შემცველი. ამგვარად, ქრისტიანმა მწერლებმა დაიწყეს კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლა, შეიძლება ითქვას, სინდისის ქენჯნის გარეშე (261). ეს მიდგომა შეეხო საისტორიო მწერლობასაც. მომდევნო საუკუნეებში დაწერილ თხზულებებში უკვე იგრძნობა კლასიკურ მწერლობასთან დამოკიდებულება. ამაზე მიანიშნებს მსჯელობის ზოგადი მანერა, ენობრივი ფორმები და ფრაზები, სამხედრო თემებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ხალხების და ტომების სახელწოდებები. აქედან გამომდინარე, საისტორიო მწერლობა ბერძნული ლიტერატურის სწორედ ის დარგი აღმოჩნდა, რომელმაც შუა საუკუნეებშიც განაგრძო განვითარება და თანაც, არნახული მასშტაბებით. ბერძნული საისტორიო მწერლობა არასოდეს ყოფილა ისეთი მდიდარი და მრავალფეროვანი, როგორც შუა საუკუნეებში. დარგის ეს უპრეცედენტო წარმატება იმითაც იყო განპირობებული, რომ ბერძნულმა საისტორიო მწერლობამ არნახული პოპულარობა მოიპოვა მსოფლიო მასშტაბით (ყაუხჩიშვილი, *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია* 67). შეიძლება, შუა საუკუნეების ზოგიერთი ბერძნულენოვანი ავტორი პროვიდენციალიზმის გავლენით მოვლენების სრულყოფილ ანალიზს ვერ გვთავაზობდეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ამ პერიოდის საისტორიო მწერლობა ნამდვილად არის მრავალფეროვანი და ძალიან ბევრი საყურადღებო ინფორმაციის შემცველი არა მხოლოდ საკუთრივ ბერძნულ შუა საუკუნეობრივ სივრცეზე (ანუ ბიზანტიის იმპერიაზე), არამედ მის მეზობლებზეც.

აღსანიშნავია, რომ ბიზანტიური ისტორიოგრაფია ორ სახეობად იყოფა: ისტორია და ქრონოგრაფია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრეულ ეპოქაში ისტორიის განსაკუთრებული მიმდინარეობა იყო საეკლესიო ისტორია, რომელიც მომდევნო საუკუნეებში აღარ გვხვდება². ისტორიასა და ქრონოგრაფიას შორის რეალური განსხვავებების დაფიქსირება ჭირს. თუმცა, სპეციალისტები მაინც გამოყოფენ პირობითად რამდენიმეს: 1. ისტორია უფრო მაღალფარდოვანი, სალიტერატურო ენითაა დაწერილი, ქრონოგრაფია კი უპირატესობას ანიჭებს ხალხურ ენობრივ ელემენტებს. შესაბამისად,

2. დეტალები საეკლესიო ისტორიის, როგორც ჟანრის შესახებ, იხ. ასევე ყაუხჩიშვილი, *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია* 76-77.

ისტორია უფრო განათლებული ფენისთვისაა განკუთვნილი, ხოლო ქრონოგრაფები ძირითადად, უბრალო ადამიანებისთვის წერდნენ (Παναγιάτου, *Bυζαντινή Λογοτεχνία* 21). სიმონ ყაუხჩიშვილი მიანიშნებს ასევე ამ ორ დარგს შორის ერთ პრინციპულ სხვაობაზე: ქრონოგრაფია არის მსოფლიო ისტორია, რომელიც გულისხმობს თხრობის დაწყებას დასაბამიდან, ანუ კაცობრიობის შექმნიდან და მისი მთავარი წყარო ამ შემთხვევაში საღვთო წერილია (ძველი და ახალი აღთქმა) (ყაუხჩიშვილი, *op. cit.* 79). შესაბამისად, ამ ტიპის თხზულებები მთლიანად ქრისტიანული იდეოლოგიის გამტარებელი იყო.

ქართული მწერლობის ჩასახვა და განვითარება მთლიანად ქრისტიანულ რელიგიასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, არაფერია გასაკვირი, რომ შუა საუკუნეების საქართველოში აქცენტი ძირითადად სასულიერო მწერლობის ნიმუშების თარგმანზე გაკეთდა და საისტორიო მწერლობა ამ მხრივ შედარებით „დაიჩაგრა“. XX საუკუნეში ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, სიმონ ყაუხჩიშვილმა შეკრიბა და თარგმნა ბიზანტიური მწერლობიდან ის მონაკვეთები, რომლებიც საქართველოზე გვაწვდის ინფორმაციას. ეს ნაშრომი მან რამდენიმე ტომად გამოსცა (სერია *გეორგია*). ამით სიმონ ყაუხჩიშვილმა დიდი დახმარება გაუწია ქართულ ისტორიოგრაფიას და იმ პერიოდისთვის ეს მართლაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო. იმის გათვალისწინებით, რომ ამ კრებულში თავმოყრილია მხოლოდ საქართველოზე არსებული ინფორმაცია, ის მკითხველს სრულ შთაბეჭდილებას ვერ უქმნის შუა საუკუნეების ბერძენ (და ზოგადად, ბერძნულენოვან) ისტორიკოსებზე. ეჭვგარეშეა, რომ თანამედროვე ქართველ მკვლევარსა და მკითხველს ესაჭიროება ზოგიერთი თხზულების მთლიანად თარგმნა³. შუა საუკუნეებში ბერძნულად დაწერილი ასობით საისტორიო

3. ამ მიმართულებით გარკვეული პროგრესი შეინიშნება. ბოლო პერიოდში ითარგმნება ბიზანტიელი ავტორების საისტორიო თხზულებები მთლიანად. ამ მხრივ უდავოდ ლიდერობს VI საუკუნის ავტორი, პროკოპი კესარიელი. მისი *საიდუმლო ისტორია* 1989 წელს გამოიცა (მთარგმნელი ძველი ბერძნულიდან ნინო ეფრემიძე); 2006 წელს გამოიცა იმავე ავტორის *შენობათა შესახებ* (მთარგმნელი ძველი ბერძნულიდან ჯული შოშიაშვილი). იგივე მთარგმნელი უახლოეს მომავალში გეგმავს პროკოპი კესარიელის მესამე თხზულების, *ომების წიგნის* გამოცემას. შესაბამისად, ეს ბიზანტიელი ავტორი ერთადერთია, რომლის ყველა თხზულება მთლიანად იქნება თარგმნილი და გამოცემული ქართულად. ეს ავტორი მარტო იმით არ არის გამორჩეული, რომ ერთსა და იმავე პერიოდზე სამი სხვადასხვა, სპეციფიკური თხზულება აქვს დაწერილი. მან, როგორც ავტორმა, ბიზანტიური საისტორიო მწერლობა სხვა სიმაღლეზე აიყვანა (ყაუხჩიშვილი, *op. cit.* 71). შესაბამისად, მისი სრული სახით მიწოდება დიდი შენაძენი იქნება დაინტერესებული თუ მოყვარული ქართველი მკითხველისთვის.

ნაშრომებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მიქაელ ფსელოსის *ქრონოგრაფია* (XI ს.) და ანა კომნენას *ალექსიადა* (XII ს.).

მიქაელ ფსელოსი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაა ზოგადად ბერძნულ სამყაროში. მას საქართველოში საკმაოდ კარგად იცნობენ როგორც მოაზროვნესა და ფილოსოფოსს⁴. მაგრამ სრულიად უცნობია ფსელოსი, როგორც ისტორიკოსი. მისი ამ ჭრილში წარმოჩენა ბევრს შესძენდა ქართულ ჰუმანიტარულ კვლევებს. ამასთანავე, პერიოდი, რომელსაც ის აღწერს (976-1077 წწ.), ყველაზე აქტიურია ბიზანტიურ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით. ანა კომნენა თავისთავად გამორჩეული ფიგურაა, რადგან შუა საუკუნეებში (მსოფლიო მასშტაბით) ქალი მწერლების რიცხვი ერთობ მწირია. მან თავის მამას, იმპერატორ ალექსი I კომნენოსს (1081-1118) უძღვნა ვრცელი ნაშრომი *ალექსიადა*. თავისთავად ეს ფაქტიც განსაკუთრებულია, რადგან მმართველის ბიოგრაფია, მისი ასულის მიერ აღწერილი, იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. შესაბამისად, ანას ნაშრომი ბევრ ემოციურ და გულისამაჩუყებელ პასაჟს შეიცავს, რაც მას ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად, დიდ მხატვრულ ღირებულებასაც ანიჭებს.

ორივე ავტორის თხზულებების გარკვეული მონაკვეთების ქართული თარგმანები მოთავსებულია სიმონ ყაუხჩიშვილის *გეორგიკის* მე-6 ტომში (გამოიცა 1966 წელს). აღნიშნული ტომი იწყება ფსელოსით, რომელსაც ეთმობა მხოლოდ 1-20 გვერდები; აქ წარმოდგენილია თავად მიქაელის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხოლო *ქრონოგრაფიიდან* შემდეგი ქვეთავები: შესავალი, იბერთა ჯარი, იბერიელთა საგანძურების დაცარიელება, იბერიის თემი, მარიამ დედოფალი და კონსტანტინე, მიქაელ VII პარაპინაკის მეუღლე, მარიამის ვაჟი კონსტანტინე. როგორც თავად სიმონ ყაუხჩიშვილი აღნიშნავს ამ ტომის შესავალში, მან შეისწავლა, ასევე, ფსელოსის კვალი ძველ ქართულ მწერლობაში. ამავე ტომში, დამატების სახით (241-263) გამოაქვეყნა ორი ტექსტი ძველ ქართულად, რომლებიც ფსელოსს მიეწერება, მაგრამ ბიზანტიურ ლიტერატურაში არ იძებნება, ანუ მისი ორიგინალის დადგენა ჭირს ან დაკარგულია. როგორც აღვნიშნეთ, ფსელოსის *ქრონოგრაფია* შესავლით იწყება (ბერძნულად პროიმონ), ისევე როგორც ბერძნული საისტორიო ნაშრომების უმეტესობა შუა საუკუნეებში. ამ ნაწილში ავტორები ძირითადად თავიანთ მიზნებს აყალიბებენ და იმ მეთოდოლოგიას, რომელსაც ამ მიზნის მისაღწევად მისდევენ. ხშირად საუბრობენ ზოგადად ისტორიის მნიშვნელობასა

4. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მაგდა მჭედლიძე, *მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიური პოზიცია, სააზროვნო და პედაგოგიური მეთოდი*, თბილისი, ლოგოსი, 2006.

და თავიანთ მიუკერძოებლობაზე (Καρπός, *op. cit.* 264). ამ მხრივ ფსელოსის შესავალი ძალიან მოკლეა და ამითაც განსხვავდება სხვა ისტორიული ხასიათის თხზულებებისგან.

მიქაელ ფსელოსს (1018-1078) ერისკაცობაში კონსტანტინე ერქვა⁵, მან იმ პერიოდისთვის საუკეთესო განათლება მიიღო. მუშაობდა საიმპერატორო სამდივნოს აპარატში. პარალელურად აქტიურად იყო ჩაბმული სასწავლო პროცესში. განსაკუთრებით დაწინაურდა კონსტანტინე IX მონომაქსის (1042-1054) დროს. მისი გარდაცვალების შემდეგ, ანუ 1054 წლიდან ფსელოსის გარდაცვალებამდე (1078 წ.) ბიზანტიამ 6 იმპერატორი გამოიცვალა, მიქაელმა შეძლო, ყველას კეთილგანწყობა და წყალობა მოეპოვებინა. ეს მან მოახერხა თავისი თანდაყოლილი რიტორიკული ნიჭისა და საუკეთესო განათლების წყალობით (Reinsch, *The Power of Discourse* 35). ფსელოსი უერთდება ბიზანტიური აღორძინების მოძრაობას, რაც პირველ რიგში განათლების სისტემაში განხორციელებულ რეფორმებს უკავშირდება. ამ პროცესებში ფსელოსის მონაწილეობა და როლი განმსაზღვრელი იყო და პროტაგონისტად მოიაზრება. ბოლოდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ «ის განსაკუთრებული ფიგურაა ბიზანტიური ელინიზმის აღორძინების თვალსაზრისით» (Kaldellis, *Hellenism in Byzantium* 191). სწორედ მან გაამდიდრა ბიზანტიური ცივილიზაცია ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და განსაკუთრებით, პლატონის მემკვიდრეობის სისტემატიური კვლევებით. მის განსაკუთრებულობას ისიც განაპირობებს, რომ ის არის მრავალმხრივი ინტერესისა და სხვადასხვა ჟანრის თხზულებების ავტორი (მჭედლიძე, *მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიური პოზიცია* 7). ამ პოლიტიკური ქამელეონისადმი (Γκουτ(ι)ουκ(α)στας, *Μιχαήλ Ψελλός* 27) ინტერესი არც თანამედროვეობაში განელებულა. 2000-2016 წლების ინტერვალში 192 ნაშრომი გამოქვეყნდა მასზე (მისი ცხოვრება და პიროვნება) ან მის შემოქმედებაზე (მის ფილოსოფიურ და ისტორიულ ნაშრომებსა თუ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე) (*Ibid.*). ამ სამეცნიერო კვლევების სიმრავლის მიუხედავად, მისადმი დამოკიდებულება მაინც არაერთგვაროვანი და ხშირად ურთიერთგამომრიცავია. მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას პლატონის ერთგულ მიმდევრად და წარმართადაც კი მიიჩნევს, მეორენი კი — ჭეშმარიტ ქრისტიანად. ზოგისთვის ის ნამდვილი მეცნიერი და მოაზროვნეა, ზოგისთვის კი — შუა საუკუნეების ტიპური სქოლასტიკოსი (მჭედლიძე, *op. cit.* 7).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფსელოსის *ქრონოგრაფია* ბიზანტიის იმპერიის 101 წლიან პერიოდზე მოგვითხრობს (976-1077წწ.).

5. მისი ბიოგრაფიის დეტალები იხილე ქართულად (ყაუხჩიშვილი, *op. cit.* 250-255).

ყაუხჩიშვილის აზრით, ნაშრომის მეორე ნაწილი ტენდენციურია (ყაუხჩიშვილი, *გეორგიკა* 6, 4; ყაუხჩიშვილი, *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია* 257). *ქრონოგრაფიის* შესავალი სრულადაა თარგმნილი *გეორგიკაში*. ეს ნაწილი სულ რამდენიმე წინადადებაა და ხატოვნად ჩამოთვლილია იმ იმპერატორთა სახელები, ვის მოღვაწეობასაც აღნიშნულ ნაშრომში განიხილავს. *ქართლის ცხოვრების* მსგავსად, ყველა იმპერატორის სახელი და შესაბამისი ქვეთავი ცალკეა გამოყოფილი. ეს ტექსტი ადრიდანვე მოექცა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში. პირველად 1874 წ. ბერძენმა მკვლევარმა, კონსტანტინე სათასმა გამოსცა (Ψελλός, *Χρονογραφία* 1, 15; ყაუხჩიშვილი, *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია* 257). მანამდე არ იყო ცნობილი მეცნიერთა ფართო წრისთვის. ფსელოსის ამ ნაშრომს სხვა მწერლების ნაწარმოებებიდან ეცნობოდნენ. კერძოდ, ანა კომნენა, ნიკიფორე ვრიენოსი, იოანე ზონარა და სხვები ფართოდ იყენებდნენ *ქრონოგრაფიას*, როგორც თავიანთ წყაროს. ის, რომ ფსელოსის ტექსტი ასეთი პოპულარული იყო XII საუკუნის მწერლებში, მიუთითებს იმ ღირებულებაზე, რაც ამ ძეგლს ჰქონდა შემდეგი თაობის საისტორიო მწერლობის წარმომადგენლებისთვის (ყაუხჩიშვილი, *Ibid.* 257). მას ბევრი რამ განასხვავებს სხვა ბიზანტიურ საისტორიო თხზულებებისგან. პირველ რიგში, მისი დღიურის ხასიათი, რაც განსაკუთრებით კონსტანტინე მონომაქოსისადმი მიძღვნილ თავში შეინიშნება.

ქრონოგრაფია დაიწერა ორ ეტაპად: პირველი 1063 წლამდე და მეორე მიქაელ VII-ის მმართველობისას (1071-1078). ავტორის მიზანი იყო იმპერატორთა ცხოვრებები დაეწერა პლუტარქესა და სვეტონიუსის მსგავსად (Ψελλός, *Χρονογραφία* 1, 16). თუმცა, ფსელოსმა წერის პროცესში ეს განზრახვა ვერ შეინაჩუნა და განსაკუთრებით, მონომაქოსის ბიოგრაფიის მერე თხრობა ემსგავსება მემუარებსა და ავტობიოგრაფიულ ნარატივს. ისტორიული თვალსაზრისით, ტექსტს კიდევ ის ნაკლი აქვს, რომ საკუთარი ნიჭით მოხიბლული ავტორი ცდილობს თავისი *ეგო* წარმოაჩინოს ისტორიულ პროტაგონისტად. როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, *ქრონოგრაფია* ითვლება ფსელოსის ავტობიოგრაფიულ აპოლოგიად. მთელ თხზულებაში, ყველა პირდაპირი და ირიბი ნათქვამის 40%-ზე მეტის ან თვითონაა მონაწილე, ან მისკენ მიემართება ნათქვამი (Reinsch, *op. cit.* 47). ძალიან დიდ ადგილს უთმობს ფსელოსი თავის შეხედულებებს არა მხოლოდ ამა თუ იმპერატორის დახასიათებისას, არამედ მოვლენის, ცხოვრებისეული საკითხის, სახელმწიფო ინსტიტუციებისა და სახელმწიფოს მოწყობაზე და ა.შ (19). კიდევ ერთი სახასიათო, რაც *ქრონოგრაფიასა* და მისი ავტორს გამოარჩევს, არის ავტორის თვითშემეცნება და გულწრფელობა. ის არ გვარწმუნებს, რომ მოვლენებს აღწერს ისე,

როგორც მოხდა. განსაკუთრებულად უყვარს იმპერატორების თუ მათი ახლო გარემოცვის ხასიათის აღწერა, მით უფრო, თუ სიტუაცია პარალელური აღწერის შესაძლებლობას იძლეოდა. მაგ. ბასილი და მისი ძმა, კონსტანტინე; კონსტანტინეს ასულები, ზოე და თეოდორა.

ბასილის და კონსტანტინეს სრულიად განსახვავებული ხასიათი ჰქონდათ.

ბასილი, რომელიც უფროსიც იყო, ყოველთვის იყო ფხიზელი, ჩაფიქრებული იერთი; კონსტანტინე კი რბილი და ინდიფერენტული იყო. ამიტომ მათ არც უცდიათ თანამმართველობა და ამგვარად, უფროსმა ბასილიმ თავი მოუყარა მთელ ძალაუფლებას და თავის ძმას მხოლოდ ბასილევსის ტიტული აკმარა. (Ψελλός, *Χρονογραφία*, 1, 43)⁶.

უცნაურია ისიც, რომ *ქრონოგრაფიაში* არ მოიპოვება არცერთი სამხედრო სიტყვა (ბრძოლის წინ წარმოთქმული). მიუხედავად იმისა, რომ ფსელოსი დეტალებში აღწერს ბარდა სკლიაროსისა და ბარდა ფოკას აჯანყებებს (X საუკუნის 70-იანი და 80-იანი წლები) და მას შეეძლო ასეთი ტექსტიც მოეწოდებინა ჩვენთვის. ამას, როგორც ჩანს, შეგნებულად არ აკეთებს (Reinsch, *op. cit.* 43). სამგლოვიარო სიტყვა კი მხოლოდ ერთ შემთხვევაში აქვს წარმოდგენილი, სულ 15-ხაზიანი. ზოე წარმოთქვამს თავისი ბიძის, ბასილი ბულგარელთმყლელის გარდაცვალებაზე (1025 წლის დეკემბერი) (*Ibid.* 44).

არც ისაა შემთხვევითი, რომ აბსოლუტურად ყველა იმპერატორზე საუბრისას ფსელოსი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს და დეტალურად აღწერს მათი ლაპარაკის მანერასა და ხმის ტემბრს (*Ibid.* 36-37). ასევე, ძალიან ფართოდ იყენებს დიალოგებს (*Ibid.* 45).

თუკიდრდესგან განსხვავებით, ფსელოსი ირჩევს მოვლენებს არა მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არამედ — მათი დრამატიზმიდან. შესაბამისად, მთელი მონათხრობი მისთვის ერთგვარი თეატრალური სცენაა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ზოეს და თეოდორასა და მათი თანადროული რიტუალების აღწერისას. მიქაელ IV-ზე (იმპერატორი 1034-1041 წლებში) საუბრისას, რომელიც არის ზოეს/ზოიას მეორე ქმარი, ფსელოსი აღნიშნავს:

მე ხშირად მოხვედრილვარ წვეულებებზე (სიმპოზიუმებზე) მასთან ერთად და ხშირად გამკვირვებია, ასეთ ადამიანს როგორ შეეძლო რომაელთა ხელისუფლების მძიმე ტვირთის აწევა. როცა თვრებოდა, აკვირდებოდა თანამეინახეების რეაქციებს. წვეულება

6. სტატიაში მოყვანილი ყველა თარგმანი შესრულებულია ჩვენ მიერ. *ქრონოგრაფიიდან* და *ალექსიადადან* საგანგებოდ შევარჩიეთ და მოგვყავს ისეთი მონაკვეთები, რომლებიც ს. ყაუხჩიშვილის *გეორგიკაში* არ არის.

რომ ჩათავდებოდა და დრო გავიდოდა, მოიხმობდა ყველა მათგანს და სთხოვდა პასუხს იმ დროს ჩადენილსა თუ ნათქვამზე. ამიტომ მისი სიმთვრალეში უფრო ეშინოდათ, ვიდრე სიფხიბლეში (Ψελλός, *Χρονογραφία*, 1, 181).

სწორედ ამ მიზეზების გამო (ანუ მოვლენების არჩევის ფსელოსისეული კრიტერიუმები, დრამატიზმი და მისი მონაწილეობა თხრობაში) თხზულება ისტორიული თვალსაზრისით არ ითვლება მაღალხარისხოვან ნაწარმოებად (Ψελλός, *Χρονογραφία* 1, 23). მკვლევარები ფსელოსს ძალიან დიდ ნაკლად უთვლიან ეპოქისთვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების აბსოლუტურ უგულვებელყოფას, როგორცაა მაგალითად, რუსების გაქრისტიანება ბასილი მეორის დროს (989), და დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის სქიზმა (1054წ.). ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ეს ნაწარმოები უფრო ისტორიის რომანიზებად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე ისტორიულ აღწერილობად (Ψελλός, *Χρονογραφία* 1, 27). ეს ფაქტორები თუ „აკნინებს“ ნაწარმოების ისტორიულ ღირსებას, აღიდეგს მის მხატვრულ ღირებულებას და ამის გათალისწინებით, თანამედროვეობისთვის შუა საუკუნეების ნარატივს სასიამოვნო წასაკითხს ხდის. ეს არის ბიოგრაფიის, დღიურის, მემუარების, ისტორიული თხრობის, რომანის ერთგვარი ნაზავი და შეგვიძლია, ისტორიული რომანის ერთ-ერთ პირველ ნიმუშად მივიჩნიოთ. ისტორიული რომანისგან მას ის განასხვავებს, რომ არ გვყავს გამოგონილი პერსონაჟები და მოვლენები.

„საფო პირველი ქალი, ვინც შექმნა პოეზია და ანა კომენა პირველი ქალი, ვინც დაწერა ისტორია“. ასე იწყებს ცნობილი ბერძენი ბიზანტიოლოგი აპოსტოლოს კარპოზილოსი თავის ნარკვევს ანა კომენაზე (Καρπόζιλος, *Βυζαντινοί ιστορικοί Γ'*, 397). ბიზანტიურ მწერლობაში ქალი ავტორები დიდი იშვიათობაა და ძირითადად, პოეზიასთან არის დაკავშირებული. შუა საუკუნეებში ანა ერთადერთი ქალი, ვისაც აქვს უპირატესობა, მსოფლიოს დიდ ისტორიკოსებს შორის სახელდებადეს. გარდა იმისა, რომ მისი *ალექსიადა* მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა, სიტყვის ხელოვნების ნამდვილ ძეგლად ითვლება (*Ibid.*). სათაური, *ალექსიას* ანუ *ალექსიადა* თვითონ ანას ეკუთვნის და იგრძნობა ჰომეროსის *ილიასის* ანუ *ილიადის* გავლენა, მხოლოდ ეს არის პროზაული ეპოსი. ანა კომენას თხზულება უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი ყაუხჩიშილის *გეორგიკაში* (ტ. 6): გვ. 33-38 ანას ბიოგრაფიას ეთმობა, გვ. 38-120-ზე ნაწარმოებიდან გამოკრებილი მონაკვეთები და თარგმანებია. ყაუხჩიშილის ანასადმი ასეთი ყურადღება ერთი მხრივ განპირობებულია *ალექსიადას* ისტორიული ღირებულებით, ხოლო მეორე მხრივ — იმით, რომ ანა

ფსელოსთან შედარებით დიდ ადგილს უთმობს „ქართულ თემას“ (ძირითადად, მარიამ დედოფლის და მისი ვაჟის, კონსტანტინეს და გრიგოლ ბაკურიანისძის ხარჯზე). ანას ნაშრომს ვრცელი პროლოგი უძღვის, რომელიც, შეიძლება ითქვას, სრული შედეგურია და საერთოდ არ არის თარგმნილი ქართულად (გეორგიკაში ალექსიადა საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის ასულის, მარიამის ქორწინებით იწყება ბიზანტიის იმპერატორ მიქაელ VII დუკაზე 1071 წელს).

ანა მამისაღმი, ალექსი კომნენოსისაღმი ნაზი გრძნობებით და პატივისცემით იყო გამსჭვალული და გულწრფელი, დაუღალავი მოშურნეობით უნდოდა მისი სახელისა და სათნოებების უკვდავყოფა. ალექსის 4 ასულიდან და 3 ვაჟიდან უფროსი ანა 1083 წ. დაიბადა, გარდაიცვალა 1153 და თავისი ნაშრომი დაახლ. 1148 წელს დაასრულა კონსტანტინოპოლის კეპარიტომენის მონასტერში, რომელიც თავისი დედის თაოსნობით დაარსდა. ალექსიადა 15 წიგნისგან შედგება და აღწერს 1069-1148 წლების ამბებს. როგორც თვითონვე აღნიშნავს, ანა თავისი მეუღლის, ცნობილი მხედართმთავრის, ნიკიფორე ვრიენიოსის ნაშრომს აგრძელებს და თავისი თხზულების კონკრეტული მონაკვეთებისთვის წყაროდაც იყენებს და ერთგვარ სქოლიოებს ურთავს (Καρπύλλος, *Βυζαντινοί ιστορικοί I*, 404)⁷. ზოგადად, ვრიენიოსის ეს ნაშრომია ანას შთაგონების წყარო, რადგან ალექსიადის დაწერა მეუღლის გარდაცვალების მერე (1136 წ.) დაიწყო, რადგანაც ნიკიფორეს თავისი თხზულება დაუმთავრებელი დარჩა. ანა ბაძავს თუკიდიდესა და პოლიბიოსს და ატიკურ დიალექტს იყენებს. ითვლება, როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდის ძვირფას ისტორიულ წყაროდ არამხოლოდ ბიზანტიის იმპერიის შესასწავლად, არამედ ზოგადად, შუა საუკუნეების, რადგან შეიცავს ინფორმაციას მაშინდელი ქრისტიანული დასავლეთის შესახებ, ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და რელიგიური შეხედულებების იმ შეხლა-შემოხლაზე, რაც XII საუკუნეში ფიქსირდება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ასევე, ერთ-ერთი პირველი წყაროა, რომელიც აღწერს სელჯუკების გამოჩენას. ნაწარმოებს ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევს ანას, როგორც ავტორის იმედგაცრუება და სევდიანი განწყობა, რასაც ერთი მხრივ იმით ამართლებს, რომ ცხოვრების ბოლოს მონასტერში გამოიკეტა⁸, რაც რეალურად სულაც არ იყო ასე საგლოვი. მისი პირველი იმედგაცრუება გამოიწვია მისი დანიშნულის,

7. ვრიენიოსის საისტორიო მასალები იხ. გეორგიკა ტ. 5, გვ. 302-314.

8. თუ რატომ გამოიკეტა ანა მონასტერში, ვრცელი თემაა, რასაც, ცხადია, აქ ვერ შევეხებით. დავძენთ მხოლოდ, რომ მან მონაწილეობა მიიღო თავისი ძმის, ბიზანტიის იმპერატორ იოანე II-ის (1118-1142) წინააღმდეგ შეთქმულებაში.

კონსტანტინე დუკას⁹ გარდაცვალებამ 1095 წელს (Καριόζηλις, *Βυζαντινοί ιστορικοί*, Γ', 398), რომელიც ამ დროს 21 წლის იყო, ხოლო თვითონ 12-ის. დაღუპული საქმროს ხსოვნა ანამ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა და შეიძლება ითქვას, სიცოცხლის ბოლომდე იგლოვა ის. განსაკუთრებული ოსტატობით აღწერს მის და თავისი სადედამთილოს, მარიამის სილამაზეს. *ალექსიადას* კიდევ ერთი ღირსება ის არის, რომ მასში დეტალურადაა აღწერილი ალექსის სამხედრო საქმიანობა (პოლიტიკურთან ერთად). სხვადასხვა ბრძოლების და სტრატეგიის ამსახველი აღწერილობა ტექსტის თითქმის ნახევარს მოიცავს. ამ ფაქტმა ზოგიერთ მეცნიერს გაუჩინა ეჭვი, რომ თხზულება ანას (ანუ ქალის) დაწერილი ვერ იქნებოდა. ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული მეცნიერთა ფართო წრისგან, რადგან: 1. თვითონ თხზულებაში ანა არაერთხელ იმოწმებს წყაროებს ამ სფეროში (წერილობითი და მამის თანამებრძოლები, ზეპირი წყაროები), 2. მთელ მონათხრობს იმდენად მძაფრად ეტყობა პორფიროგენეტის ანუ სასახლეში გაზრდილ-დაბადებულის ხელი, რომ სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ მოიპოვება (Καριόζηλις, *Βυζαντινοί ιστορικοί* Γ', 409-410). თან ნუ დაგვავიწყდება, რომ ანა ცნობილი მხედართმთავრის ცოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალების საუკეთესო წყარო საკუთარ ჭერქვეშ ჰყავდა. თხზულებაში მოვლენები ქრონოლოგიურად თანმიმდევრულად არის დალაგებული და ერთგვარი თემატური ბლოკების ირგვლივაა „აწყობილი“. ნაკლებად გვხვდება ინფორმაცია ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროზე (414). პროლოგი დაახლ. 5 ნაბეჭდი გვერდია. განსაკუთრებით აქ, მაგრამ ასევე მთელ თხზულებაში, იგრძნობა ანას საუკეთესო კლასიკური განათლება. ძნელია, მას ამ მხრივ რომელიმე სხვა ავტორი გაეჯიბროს შუა საუკუნეებში:

დაუცხრომლად მიედინება დრო და ამ თავის მოუხელთებელ მოძრაობაში ითრევს და ცვლის ყველაფერს და ავანებს გაქრობის ფსკერზე. მისი მტარვალი ხელი ხვდება ყველაფერს: უმნიშვნელოსაც და დიდ, ღირსშესანიშნავ ამბებსაც. როგორც ამბობს ტრაგიკოსი პოეტი [გულისხმობს სოფოკლეს — ე. წ.], დროს შეუძლია გამოიტანოს საამუკარაოზე დაფარული და დამალოს განცხადებული. მაგრამ ისტორიის სიტყვა ხდება ჯებირი დროის ამ ყოვლადძლიერი დინებისთვის და გარკვეულწილად მის დაუცხრომელ მოძრაობასაც აჩერებს. წავიკითხე ყურადღებით როგორც არისტოტელეს ნაშრომები, ასევე პლატონის დიალოგები, და შევაძვეე ჩემი სული მათემატიკით, ასტრონომიით და მუსიკით

9. საუბარია მარიამ დედოფლის ერთადერთ ვაჟზე, ანუ ბიზანტიის იმპერიაში ერთადერთ ნახევრად ქართველ უფლისწულზე.

[...] როცა მავანი შეეჭიდება ისტორიოგრაფის საქმეს, მას ევალება, დაივიწყოს პირადი სიყვარული და სიძულვილი: ხშირად უნდა შეამკოს თავისი მტრები ყველაზე მაღალფარდოვანი ქებით, როცა მოვლენები ამას ჰკარნახობს და უნდა გააკრიტიკოს თავისთვის საყვარელი ადამიანები, როცა თხრობა მათ მცდარ მოქმედებებს შეეხება. ამიტომაც [ისტორიკოსმა — ე. ჭ.] არ უნდა იჭოჭმანოს არც მეგობრების დასადანაშაულებლად და არც მტრების შესაქებად. (Comnenae, *Alexias* 3-5).

ქრონოგრაფია და *ალექსიადა* თარგმნილია მსოფლიოს უამრავ ენაზე, რაც შესაძლებლობას აძლევს თანამედროვე ისტორიკოსებს, ორივე ტექსტი ფართოდ გამოიყენონ თავიანთ კვლევებში. ამ ორი ნაწარმოების სრული თარგმანი ქართველ მკითხველს მისცემს შესაძლებლობას ერთი მხრივ, გაეცნოს შუა საუკუნეების საისტორიო მწერლობის ორ საუკეთესო ნიმუშს, ხოლო მეორე მხრივ, მათი მეშვეობით შეძლოს ამ პერიოდის მოვლენების სიღრმისეულად გაგება და გაანალიზება.

ბიბლიოგრაფია

- Comnenae, Annae Porphyrogenitae, *Alexias*, Lipsiae in Aedibus B. G. Teubneri, 1884.
- Γκουτζιουκώστας, Ανδρέας, “Μιχαήλ Ψελλός: ένας λόγιος στην υπηρεσία του κράτους”, in Αντωνόπουλος Παναγιώτης, Γιαρένης Ηλίας, Αγορίτσας Δημήτριος (dir.), *Λόγιοι και Λογιοσύνη στο Βυζάντιο*, Θεσσαλονίκη, University Studio Press, 2019, 27-46.
- Kaldellis, Antonis, *Hellenism in Byzantium, The Transformations of Greek Identity and the Reception of the Classical Tradition*, Cambridge University Press, 2007.
- Καρπόζηλος, Απόστολος, *Βυζαντινοί Ιστορικοί και Χρονογράφοι*, τόμος Α' (4ος-7ος αι.), Αθήνα, Εκδόσεις Κανάκη, 1997.
- Καρπόζηλος, Απόστολος, *Βυζαντινοί Ιστορικοί και Χρονογράφοι*, τόμος Γ' (11ος-12ος αι.), Αθήνα, Εκδόσεις Κανάκη, 2009.
- Παναγιώτου, Αντώνιος, *Βυζαντινή Λογοτεχνία – κείμενα του πεζού λόγου*, Αθήνα, Εκδόσεις Αρμός, 2010.
- Reinsch, Diether Roderich, *The Power of Discourse in the Chronographia of Michael Psellus*, Athens, Alexander S. Onassis Public Benefit Foundation, 2009.
- Ψελλός, Μιχαήλ, *Χρονογραφία*, Μετάφραση- Εισαγωγή-Σχόλια Βρασίδης Καραλής, Τόμος Α', Αθήνα, Άγρωστις, 1992.
- Ψελλός, Μιχαήλ, *Χρονογραφία*, Μετάφραση- Εισαγωγή-Σχόλια Βρασίδης Καραλής, Τόμος Β', Αθήνα, Εκδόσεις Κανάκη, 1997.
- მჭედლიძე, მაგდა, *მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიური პოზიცია, სააზროვნო და პედაგოგიური მეთოდი*, თბილისი, ლოგოსი, 2006.

ყაუხჩიშვილი, სიმონ, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. V, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

ყაუხჩიშვილი, სიმონ, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. VI, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1966.

ყაუხჩიშვილი, სიმონ, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, განათლება, 1973.